



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება №3

2017 წლის 14 ნოემბერი
ქალაქი ახალციხე

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“, „დ.დ“, „დ.ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციების ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გელა ნოზაძე